



საქართველო



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო
2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი

22.01.2019 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №5

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაწილს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 ნოემბრის №112 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაწილს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 ნოემბრის №112 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) VIII ქუჩას ეწოდოს - ზვიად გამსახურდიას სახელი;“.

2. განკარგულება გადაგზავნილ იქნას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში. შინაგან საქმეთა სამინისტროში და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი რ. ლალიძის ქ. №12).

საკრებულოს თავმჯდომარე



მამუკა წოწერია